სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება N01-02/180

2025-2026 სასწავლო წლის **შემოდგომის** სემესტრისათვის
„წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში
სემესტრული დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის პროფესიული და უმაღლესი განათლება ქვეპროგრამის „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 051003) ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ'' **აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკის **განათლებისა და სპორტის მინისტრის 2025 წლის 05 სექტემბრის N01-08/207 ბრძანების**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2025 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული N04-10/122 ურთიერთთანამშრომლობის **შესახებ შეთანხმების,** ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს N01-02/155 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 19 სექტემბრის N01-14/532 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით თამარ სირაძის Erasmus+ ფარგლებში საბერძნეთში, ქალაქ ჰერაკლიონში გამგზავრების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 18 სექტემბრის N01-06/353 ბრძანების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 18 სექტემბრის N01-06/356 ბრძანებისა (რექტორის მოადგილე გ. ქათამაძის მივლინება) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 18 სექტემბრის NMES 1 25 0001179407 კორესპონდენციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის **სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო)** პროგრამის ღონისძიების **„წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში სემესტრული დაფინანსების (ჯამში 1000 ლარი) მოსაპოვებლად გამოცხადდეს კონკურსი** 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის დაფინანსების მიმღები ბსუ-ს საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/მედიცინის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების, სულ 100 (ასი) **სტუდენტის გამოსავლენად.**
2. გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს სტუდენტს, რომელიც **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**

ა) არის ბსუ-ს საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/მედიცინის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების **აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი** (შენიშვნა: სამინისტროს მოთხოვნით, აქტიური სტუდენტის სტატუსი უნდა დადგინდეს 2025 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით);

ბ) არის საქართველოს მოქალაქე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე, **საცხოვრებლად რეგისტრირებულია არანაკლებ ერთი წლით ადრე;**

გ) აქვს **2024-2025** სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრის** შეფასების საშუალო არითმეტიკული (მთელი სიზუსტის დამრგვალებით) **91 ან მეტი ქულა.** საშუალო არითმეტიკულ ქულას ემატება შესაბამისი ქულები, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში (თუკი დოკუმენტაციით დადასტურება):

დ) 2024-2025 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრში** სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა (1 აქტივობა - 5 ქულა; 2 და მეტი აქტივობა - 10 ქულა);

ე) 2024-2025 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრში** საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებებში, იმიტირებული სასამართლო პროცესში მონაწილეობა (1 აქტივობა - 2 ქულა; 2 და მეტი აქტივობა - 5 ქულა).

3. გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა მოხდეს აკადემიური მოსწრებისა და აქტივობებში მიღებული ქულების დაჯამების საფუძველზე, რანჟირების გზით, უმაღლესიდან უდაბლესისკენ. თუ სტუდენტების შერჩევისას ბოლო ადგილზე თანაბარი ქულა აქვს რამდენიმე სტუდენტს, უპირატესობა მიენიჭება წინა სემესტრის შეფასების მაღალ საშუალო არითმეტიკულ ქულას (**შენიშვნა:** სტუდენტი, რომელიც ერთდროულად მოიპოვებს დაფინანსებას სამინისტროს „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა", „ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია" ან „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა" ღონისძიებების ფარგლებში **ვალდებულია, აირჩიოს** მხოლოდ ერთი ღონისძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაფინანსება არ გაიცემა).

4. კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-ს სტუდენტმა **2025 წლის 29 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის 17:00 საათის ჩათვლით,** ბსუ-ს სტუდენტური **პორტალის საშუალებით** („წერილი კანცელარიას", რექტორის სახელზე) **უნდა წარმოადგინოს:**

ა) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (წინა (სემესტრის შეფასების საშუალო არითმეტიკული (მთელი სიზუსტის დამრგვალებით) 91 ქულის და მეტის მითითებით);

დ) იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა რეგისტრაციის ადგილის შესახებ;

ე) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პუბლიკაციის დედანი ან დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სამეცნიერო/სტუდენტურ, საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებებში (კონფერენცია,

სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. ნოტარიულად **დამოწმებული ასლი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის დედანი მოთხოვნისთავე უნდა წარედგინოს საკონკურსო კომისიას).

5. საკონკურსო კომისიის მიერ <u>საკონკურსო დოკუმენტაცია</u> **არ განიხილება** (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსნება კონკურსიდან) **შემდეგ შემთხვევებში:**

ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია ან წარმოდგენილია ვადის დარღვევით;

ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით;

გ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

6. კონკურსანტი უფლებამოსილია წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციაში ხარვეზი (არსებობის შემთხვევაში) **შეავსოს 2 დღის განმავლობაში,** 2025 წლის **15 ოქტომბრის 17:00 საათის ჩათვლით.**

7. სტიპენდიანტების შესარჩევი **კონკურსი ჩატარდეს** 2025 წლის **16 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით.**

8. ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგები გამარჯვებული სტუდენტების (დაფინანსების - 1000 ლარის მიმღები პირების გამოვლენის თაობაზე) წარმოდგენილი იქნეს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე **არაუგვიანეს 2025 წლის 03 ნოემბრისა.**

9. ბსუ-ს სტუდენტის მიერ კონკურსის შედეგი შეიძლება გასაჩივრდეს არაუგვიანეს 2025 წლის **04 ნოემბრისა.**

10. ბსუ-ს სტუდენტთა საჩივრები განხილული იქნეს საკონკურსო კომისიის მიერ და **კონკურსის საბოლოო შედეგები** წარმოდგენილი იქნეს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, **არაუგვიანეს 2025 წლის 06 ნოემბრისა.**

11. ჩატარებული კონკურსის თაობაზე შემაჯამებელი სამსახურებრივი ბარათი, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი/ოქმები (გამარჯვებული სტუდენტების შესაბამისი დოკუმენტაციით), ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის **სამინისტროში გასაგზავნი წერილი** და თანდართული დოკუმენტაცია **მომზადდეს** სამინისტროს 2025 წლის 18 სექტემბრის NMES 1 25 0001179407 კორესპონდენციის შესაბამისად და წარმოდგენილი **იქნეს ბსუ-ს რექტორთან,** არაუგვიანეს 2025 **წლის 06 ნოემბრისა.**

12. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით **არაუგვიანეს 2025 წლის 07 ნოემბრისა გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება** სამინისტროს დაფინანსების მიმღები სტუდენტების შერჩევის თაობაზე (ბრძანების პროექტი უნდა შეთანხმდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან), **რომელიც შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად გაეგზავნოს** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, არაუგვიანეს 2025 წლის **10 ნოემბრისა.**

13. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, წინამდებარე **ბრძანების N2 დანართის** შესაბამისად. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის პროფესიული და უმაღლესი განათლება <u>ქვეპროგრამის „ტექნიკური,</u>

საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 051003) ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ'' **აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკის **განათლებისა და სპორტის მინისტრის 2025 წლის 05 სექტემბრის N01-08/207 ბრძანებით**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2025 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული N04-10/122 ურთიერთთანამშრომლობის შესახებ **შეთანხმებით და** სამინისტროს 2025 წლის 18 სექტემბრის NMES 1 25 0001179407 კორესპონდენციით.

14. წინამდებარე ბრძანების შესახებ **ბსუ-ს სტუდენტების ინფორმირება** განხორციელდეს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით და ასევე ბსუ-ს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის საჯარო გამოცხადების გზით.

15. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', თითოეული ფაკულტეტის ველში ,,ფაკულტეტის სიახლეები'').

16. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, რექტორის აპარატს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

17. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ ხალვაში**

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის
„წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში
სემესტრული დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის N01-02/180 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს სტუდენტის საკონკურსო განაცხადი

(,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის პროფესიული და უმაღლესი განათლება ქვეპროგრამის „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 051003) ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში სემესტრული დაფინანსების (ჯამში 1000 ლარი) მოსაპოვებელ
კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

1.	**ბსუ-ს სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი**	
2.	**დაბადების** თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	**ფაკულტეტი**	
4.	**სწავლების საფეხური** (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო-სამაგისტრო)	
5.	**საგანმანათლებლო პროგრამა**	
6.	**საკონკურსო განაცხადის შემოტანის დროისათვის მიმდინარე სასწავლო** სემესტრი	
7.	**აჭარის ადმინისტრაციულ** ტერიტორიაზე **რეგისტრაციის ადგილი** (სრული მისამართის დასახელება)	
8.	**აჭარის ადმინისტრაციულ** ტერიტორიაზე **რეგისტრაციის** თარიღი	
9.	**ფაქტობრივი** საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	
10.	**საკონტაქტო** ტელეფონი	
11.	**საკონტაქტო** ელექტრონული ფოსტა	
12.	**საბანკო ანგარიშის ნომერი** (დაფინანსების მიღების შემთხვევაში თანხის ჩარიცხვისათვის)	
13.	**სხვა ინფორმაცია, კონკურსანტის** შეხედულებით	

2024-2025 სასაწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრში სამეცნიერო/სტუდენტური, საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა:**

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				

დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის შეხედულებით):_____

_____

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ნამდვილია და პასუხისმგებელი ვარ მათ სისწორეზე, ამასთანავე **თანხმობას ვაცხადებ:**

ბსუ-მ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები (განიხილოს, განთავსდეს/გასაჯაროვდეს ინფორმაცია ბსუ-ს ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში ან/და სხვა საინფორმაციო რესურსებზე, კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტების თაობაზე, გადასცეს მე-3 პირს - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს); გადაამოწმოს ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა;

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი საკონკურსო განცხადი და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

_____-

(განმცხადებლის ხელმოწერა)

_____

განცხადების შევსების
და წარდგენის თარიღი:

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის
„წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში
სემესტრული დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის N01-02/180 ბრძანების
დანართი N2

ბსუ-ს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

(,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის პროფესიული და უმაღლესი განათლება ქვეპროგრამის „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 051003) ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში
სემესტრული დაფინანსების (**ჯამში** 1000 ლარი) მიმღები
ბსუ-ს სტუდენტების გამოვლენისათვის)

1. **გიორგი ქათამაძე** - რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (**კომისიის თავმჯდომარე**);
2. მერაბ ხალვაში - რექტორის მოადგილე ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით;
3. **მერაბ დიასამიძე** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, **თავმჯდომარის** მოადგილე;
4. **ლევან ტარიელაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;
5. **სალომე ჯინჭარაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
6. გოგა ბაუჟაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი);
7. **ამირან შარაძე** - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი;
8. **გიორგი დიასამიძე** - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
9. **ირმა დიასამიძე** - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერია) სტუდენტთა სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერი.
10. **მარინა პაქსაძე** - აჭარის ა.რ განათლებისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსი.